



საქართველოს საჯარო ფინანსურ სისტემაში ფინანსური კონტროლის სტრუქტურა

რეზიუმე

ლავა მურჯიკიძე
სტუ-ს II კურსის დოქტორანტი

სამეცნიერო სტატიაში განხილული საკითხების ანალიზიდან გამომდინარე დაფიქსირებულია, რომ საქართველოს საჯარო ფინანსურ სისტემაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების დახვეწილი მობილური სტრუქტურული სისტემა.

საქართველოს ფინანსური კონტროლის სისტემა, ხელისუფლების მოქმედების პრინციპების შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ქვეყნის პრეზიდენტი, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

ქვეყნის საჯარო ფინანსური კონტროლის ფუნქციას ნაწილობრივ ასრულებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც, რომელიც თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა შტოსთან.

საქართველოს საჯარო ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებენ აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანო თავიანთი უფლება-მოვალეობის ფარგლებში.

ქვეყნის ფინანსურ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსთა სამინისტროს, რომელიც არა მხოლოდ შეიმუშავებს ფინანსურ პოლიტიკას, არამედ აკონტროლებს მის განხორციელებას.

ქვეყნის საჯარო ფინანსების გამოყენებისა და სახსრების ხარჯვის პროცესს ზედამხედველობის სახით აკონტროლებს საქართველოს კონტროლის პალატის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს აუდიტის სამსახური.

სახელმწიფოს აუდიტის სამსახური არის საჯარო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც აწარმოებს საჯარო ფინანსების შესაბამისობისა და ეფექტიანობის კონტროლს, რომელიც დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და გამორიცხულია მასზე ყოველგვარი ზეწოლა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანია ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პროფესიონალიზმის პრინ-

ციპის შესაბამისად საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ნორმალური ხარჯვის ხელშეწყობა.

თანამედროვე ეტაპზე, ჩემი აზრით ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიგა და არასახელმწიფო აუდიტების საკონტროლო სამსახურის მუშაობას, მისი გაუმჯობესებისა და გამტკიცების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: საჯარო, სტრუქტურა, მობილური, კომისიები, კომიტეტები, ვალი, სამართალმემკვიდრე, აუდიტი, აუდიტორი, უწყებები, სამინისტროები, არასახელმწიფო, პროფესიონალიზმი, კონფიდენციალური, გამჭვირვალობა.

შესავალი

საქართველოს საჯარო ფინანსურ სისტემაში, ფინანსური კონტროლის განხორციელებისათვის კონსტიტუციისა და საჯარო ბიუჯეტის კოდექსის შესაბამისად ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს საჯარო ფინანსური, უწყებრივი ფინანსური, შიგა ფინანსური და არასახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი მაკონტროლებელი ორგანოების მობილური სტრუქტურული სისტემა.

საქართველოს საჯარო ფინანსური კონტროლის სისტემა ხელისუფლების მოქმედების პრინციპებიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ქვეყნის პრეზიდენტი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად პრეზიდენტის კონტროლი საჯარო ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოებს ბრძანებულებების გამოცემით, კანონებზე ხელის მოწერით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით და შემდეგ დამტკიცებით.

საჯარო ფინანსური კონტროლის ფუნქციას ნაწილობრივ ასრულებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც, რომელიც თანამშრომლობს აღმას-



რულებელი ხელისუფლების ყველა შტოსთან.

საქართველოს პარლამენტში ქვეყნის საჯარო ფინანსური კონტროლის გაწევის მიზნით შექმნილია კომისიები და კომიტეტები. პარლამენტის კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამოწმებს საბიუჯეტო პროექტის შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებას. საბიუჯეტო კომიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს მთავრობის საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება, როცა ადგილი აქვს დამტკიცებულთან შედარებით ზედმეტი ხარჯვის პროცესს.

საჯარო ფინანსური საქმიანობის კონტროლს ანხორციელებენ აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანო თავიანთ უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს მთავრობა არეგულირებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებს, ცდილობს საჯარო ბიუჯეტის მიღების შემდეგ მის შესრულებას, უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ვალის მენეჯმენტს, აკონტროლებს და არეგულირებს სამინისტროებისა და უწყებების ფინანსური ორგანოების საქმიანობას.

საჯარო ფინანსურ სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლებიდან განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს, რომელიც არა მხოლოდ შეიმუშავებს ფინანსურ პოლიტიკას, არამედ აკონტროლებს მის განხორციელებას.

ქვეყნის საჯარო ფინანსების გამოყენებასა და ხარჯვის პროცესის ზედამხედველობის სახით აკონტროლებს საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამონაცვლე – სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს აუდიტის სამსახური. სახელმწიფოს აუდიტის სამსახური არის საჯარო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც აწარმოებს საჯარო ფინანსების შესაბამისობისა და ეფექტიანობის კონტროლს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და გამორიცხულია მასზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პროფესიონალიზმის პრინციპის საფუძველზე საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ნორმალური ხარჯვის და ადამიანური რესურსების მართვის ხელშეწყობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურას განსაზღვრავს და ხელმძღვანელობს, მისი გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლეს

ობით 5 წლის ვადით. სახელმწიფო აუდიტს გენერალური აუდიტორი წარმართავს, მისი საქმიანობის სამსახურს კონსტიტუციისა და სხვა კანონმდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას მიაწოდოს ინფორმაცია აუდიტის განხორციელებული მუშაობის შედეგად მიღებულ შედეგებზე რეაგირების სათვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარდგენილი ანგარიშები ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვის ორგანოებში.

ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ უწყებები და სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ უწყებანორგანიზაციებში. ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე შემოწმება ტარდება კომპლექსურად წელიწადში ერთხელ. უწყებებისა და სამინისტროების საქმიანობის მაკონტროლებელი სამსახურის საქმიანობა, თავის მხრივ ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს კონტროლს. უწყებრივი ფინანსური კონტროლის ამოცანაა ფინანსური და მატერიალური რესურსების დაცვა და ეფექტიანი გამოყენება, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმება და გაუმჯობესება.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიგა კონტროლის წარმოებას. შიგა აუდიტი წარმოადგენს ეკონომიკურ ბერკეტს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ მენეჯმენტსა და ფინანსური კონტროლის პრინციპების გამჭვირვალობასა და საჯაროობას. შიდა აუდიტორული პროცესების დროს სწარმოებს ტრენინგების ორგანიზება, რომელთა მიზანია – აუდიტორთა პროფესიული დონის ამაღლება.

სახელმწიფოს შიგა ფინანსური კონტროლის სისტემაში მთავარი ადგილი უკავია შიდა აუდიტებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია დაწესებულებების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ. საჯარო შიგა აუდიტის სუბიექტები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში. შიგა აუდიტის სუბიექტების საქმიანობა ხორციელდება შიდა აუდიტის სტანდარტების შესაბამისად, დამოუკიდებლობის კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კონფიდენციალურობის, კანონიერებისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

შიგა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიგა აუდიტორიის ობიექტს. შიგა აუდიტის სუბიექტისა და ობიექტის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე საბოლოოდ



ყალიბდება შიგა აუდიტორული ანგარიში რეკომენდაციებით და ეგზავნება რეაგირებისათვის დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით იზრდება არასახელმწიფო ფინანსური კონტროლის როლი და მნიშვნელობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების უშუალო მონაწილეობის გარეშე, მაგრამ სახელმწიფო სათანადო კანონებისა და ნორმატივების საფუძველზე.

არასახელმწიფო, დამოუკიდებელ ფინანსურ კონტროლს მიეკუთვნება შიგა სამეურნეო ფინანსური, ოპერატიული შიგასამეურნეო ფინანსური, სტრატეგიული ფინანსური და სტრატეგიული შიგასამეურნეო ფინანსური კონტროლის სახეები.

საერთოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუდიტორი კონტროლის გამოყენება, რადგან აუდიტორიული შემოწმების შედეგების საფუძველზე ხდება სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ეფექტიანი რეკომენდაციების შემუშავება. აუდიტორიული შემოწმება ტარდება, როგორც საინიციატივო, ასევე სავალდებულო წესით.

სამეცნიერო სტატიაში განხილული საკითხების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საერთო დასკვნა, რომ:

- საქართველოს საჯარო ფინანსურ სისტემაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების დახვეწილი მობილური სტრუქტურული სისტემა;

- საქართველოს ფინანსური კონტროლის სისტემა, ხელისუფლების მოქმედების პრინციპების შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ქვეყნის პრეზიდენტი, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად;

- ქვეყნის საჯარო ფინანსური კონტროლის ფუნქციას ნაწილობრივ ასრულებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც, რომელიც თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა შტოსთან;

- საქართველოს საჯარო ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებენ აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანო თავიანთი უფლება-მოვალეობის ფარგლებში;

- ქვეყნის ფინანსურ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსთა სამინისტროს, რომელიც არა მხოლოდ შეიმუშავებს ფინანსურ პოლიტიკას, არამედ აკონტროლებს მის განხორციელებას;

- ქვეყნის საჯარო ფინანსების გამოყენებისა და სახსრების ხარჯვის პროცესს ზედამხედველობის სახით აკონტროლებს საქართველოს კონტროლის პალატის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს აუდიტის სამსახური;

- სახელმწიფოს აუდიტის სამსახური არის საჯარო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც აწარმოებს საჯარო ფინანსების შესაბამისობისა და ეფექტიანობის კონტროლს, რომელიც დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და გამორიცხულია მასზე ყოველგვარი ზეწოლა;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანია ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პროფესიონალიზმის პრინციპის შესაბამისად საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ნორმალური ხარჯვის ხელშეწყობა;

- თანამედროვე ეტაპზე, ჩემი აზრით ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიგა და არასახელმწიფო აუდიტების საკონტროლო სამსახურის მუშაობას, მისი გაუმჯობესებისა და გამტკიცების თვალსაზრისით.

ბამოყენებული ლიტერატურა

- როუზენი ს. საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბ., 2006.
- როუზენი ს. საჯარო ფინანსები, ტომი მეორე, თბ., 2006.
- ინგოროყვა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი, ტომი I, თბ., 2011.
- ინგოროყვა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი, ტომი II, თბ., 2011.

- მესხია ი., გაბელაშვილი კ. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბ., 2010.
- ხანთაძე გ., ცაავა გ. საჯარო ფინანსები.
- კაკულია რ. ფინანსების თეორია, თბ., 2004.
- კაკულია რ., ღავთაძე გ. ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა, თბ., 2012.
- Irene S. Rubin. The Politics of Public Budgeting, Northern Illinois University, 2014.



FINANCIAL CONTROL STRUCTURE IN GEORGIAN PUBLIC FINANCIAL SYSTEM

LASHA MURJIKNELI (*paternity Zurab*)
a II year PhD student of GTU

Summary

Proceeding from the analysis of the issues discussed in the scientific article was settled, that improved mobile structural system of the financial control implementing authorities is formed and functioning in the public financial system of Georgia.

Financial control system of Georgia, in accordance with the principles of government activity, the president of the country carries out control of financial activity of the executive, together with the representatives of authority.

Also administration of the president implements country's public financial control function partially, which collaborates with all branches of the executive.

All branches of the executive also implements public financial activity control of Georgia under their terms of reference.

In the country's financial system, the Ministry of Finance takes the special place from the executive that not only develops a financial policy, but also controls its implementation.

The legal successor of control chamber of Georgia State Audit Office by way of supervision controls the process of use of country's public funds and expenditures.

The government's audit office is the highest authority of public financial-economic control, which maintains control of public finances compliance and efficiency, which is independent, subordinates only the law and any pressure on it is ruled out.

The goal of the State Audit Office's activity is normal spending of public funds and other material values in compliance with objectivity, independence, publicity and professionalism principle.

At present stage, in my opinion, addition to the aforesaid, the special attention should be paid to the work of inner and nongovernmental auditors' control, in terms of its improving and strengthening.

Key words: *public, structure, commissions, mobile, committees, debt, legal successor, audit, auditor, agencies, ministries, nongovernmental, professionalism, confidential, transparency.*